ლიბერთი
ბანკი ყველგან და ყველასთვის

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციონერთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში **„ბანკი“**) აქციონერთა ყოველწლიური საერთო კრების (შემდგომში **„საერთო კრება“**) ჩატარება დაგეგმილია 2025 წლის 05 ივნისს 11:00 საათზე, „ბანკის“ სათავო ოფისში შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74, თბილისი 0162, საქართველო;

- **განთავსებულ აქციათა რაოდენობა**

„საერთო კრების“ მოწვევის თარიღისთვის „ბანკის“ განაღდებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენს 4,449,046,175 აქციას, ხოლო განთავსებული პრივილეგირებული აქციების რაოდენობა შესაბამისად 4,565,384 აქციას;

- **„საერთო კრების“ სააღრიცხვო თარიღი:**

საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად განსაზღვრულია 2025 წლის 15 მაისი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც კრების სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ჩვეულებრივ აქციებს ფლობენ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში ანგარიშის მწარმოებლის საშუალებით.

- **აქციონერთა კრებაზე წარმომადგენლის დანიშვნა:**

აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება და თავად დამოწმებული მინდობილობა პირმა უნდა წარმოადგინოს მატერიალური სახით „ბანკის“ იურიდიულ მისამართზე.

- **საერთო კრებაზე ხმის მიცემის წესი:**

საერთო კრებაზე ხმის მიცემა ხორციელდება ღია კენჭისყრის პრინციპით. დღის წესრიგის თითოეულ საკითხს კენჭი ეყრება დამოუკიდებლად. თითოეული დამსწრე აქციონერი უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს, წინააღმდეგ წავიდეს ან თავი შეიკავოს „საერთო კრების“ დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან მიმართებით.

- **საერთო კრებისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:**

„ბანკის“ 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

- **„საერთო კრების“ დღის წესრიგი შედგება შემდეგი საკითხებისგან:**

1. **„ბანკის“ 2024 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება;**

   „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, დაამტკიცოს 2024 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია „ბანკის“ მიერ და დადასტურებულია „ბანკის“ დამოუკიდებელი გარე აუდიტორის, შპს „იუაის“ (EY) მიერ. ანგარიშგება სათანადო წესით გამოქვეყნებულია და ხელმისაწვდომია „ბანკის“ ოფიციალურ ვებგვერდზე - https://cdn.lb.ge/libertybank/files/02/59/03/5fJCIIbq8EuduxyMeVZHXw/24-lb-ifrs-consolidated-fs-geo.pdf

2. **„ბანკის“ მიერ გამოშვებულ კონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებზე („პრივილეგირებული აქცია“) 2024 წლის კუთვნილი დივიდენდის გადახდის დამტკიცება, თითოეულ „პრივილეგირებულ აქციაზე“ 0.17 ლარის ოდენობით;**

   2012 წლის პრივილეგირებული აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტის შესაბამისად, „ბანკი“ „პრივილეგირებული აქციების“ მფლობელებს ყოველწლიურად უხდის დივიდენდს წლიური 17%-ის ოდენობით, საანგარიშო წლის მომდევნო კალენდარულ წელს. 2024 წლის IFRS კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „ბანკის“ წმინდა მოგებამ შეადგინა 100 მილიონ ლარზე მეტი. შესაბამისად, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, დაამტკიცოს დივიდენდის სააღრიცხვო თარიღისთვის გამოშვებულ და განთავსებულ 4,565,384 „პრივილეგირებულ აქციაზე“ დივიდენდის გადახდა წლიური 0.17%-ის ოდენობით, რაც ჯამურად შეადგენს 776,115.28 ლარს;

3. **2024 კალენდარული წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად 2025 წლის 23 ივნისის განსაზღვრა;**

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობისა და „ბანკის“ მოქმედი წესდების გათვალისწინებით, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, 2024 წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დაამტკიცოს 2025 წლის 23 ივნისი;

4. **2024 კალენდარული წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის გადახდის თარიღად 2025 წლის 09 ივლისის განსაზღვრა;**

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობისა და „ბანკის“ მოქმედი წესდების გათვალისწინებით, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, 2024 წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის გადახდის თარიღად დაამტკიცოს 2025 წლის 09 ივლისი;

5. **იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არ იქნება აღნიშნულის წინააღმდეგი და დაცული იქნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 181-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, დივიდენდის სააღრიცხვო თარიღისთვის „ბანკის“ მიერ გამოშვებულ და სრულად განაღდებულ ჩვეულებრივ აქციებზე („ჩვეულებრივი აქცია“) შუალედური დივიდენდის გადახდის დამტკიცება და ჩვეულებრივ აქციებზე გადასახდელი შუალედური დივიდენდის ჯამური ოდენობის განსაზღვრა არანაკლებ 35 (ოცდათხუთმეტი) მილიონი და არაუმეტეს 70 (სამოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობით იმ პირობით, რომ გასანაწილებელი დივიდენდის ზუსტი ჯამური ოდენობა შეადგენს ქვემოთ ჩამოთვლილთა შორის უმცირესს გამოკლებული 3 (სამი) მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფიქსირებული ოფიციალური კურსით და 5.5 (ხუთი მილიონ ხუთასი ათასი) მილიონი ლარი.**

- 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში IFRS მეთოდით დათვლილი „ბანკის“ არააუდირებული წმინდა მოგება; ან (the actual net profit (as calculated per IFRS) of the Bank for the period starting on 1st January 2025 and ending on the 30th of June 2025); or
- ოდენობა, რომელიც 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში „ბანკის“ არააუდირებულ საშუალო საკუთარ კაპიტალზე (Average Shareholder Equity) გაყოფის შედეგად შეადგენს 2023 და 2024 ფინანსური წლების საშუალო უკუგებას კაპიტალზე (Average ROE), დათვლილი 2024 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით; ან (such amount as, when divided by the average shareholder equity of the Bank during the period starting on 1st January 2025 and ending on the 30th of June 2025, equals to the average return on equity (ROE) for the 2023 and 2024 financial years as calculated according to the 2024 audited accounts;) or
- ოდენობა, რომელიც 2025 წლის 01 იანვრიდან 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში „ბანკის“ არააუდირებულ საშუალო აქტივებზე (Average Assets) გაყოფის შედეგად შეადგენს 2023 და 2024 ფინანსური წლების საშუალო უკუგებას აქტივებზე (Average ROA), დათვლილი 2024 წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით (such amount as, when divided by the average Assets of the bank during the period starting on 1st January 2025 and ending on the 30th of June 2025, equals to the average return on Assets (ROA) for the 2023 and 2024 financial years as calculated according to the 2024 audited accounts).

„დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“ მხარი დაუჭიროს „ჩვეულებრივ აქციებზე“ დივიდენდის გადახდას „დღის წესრიგით“ განსაზღვრული პირობით;

6. **„ჩვეულებრივი აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად 2025 წლის 23 ივნისის განსაზღვრა;**

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობისა და „ბანკის“ მოქმედი წესდების გათვალისწინებით, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, „ჩვეულებრივი აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად დაამტკიცოს 2025 წლის 23 ივნისი;

7. **„ჩვეულებრივი აქციების“ დივიდენდის გადახდის თარიღად 2025 წლის 09 ივლისის განსაზღვრა;**

ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობისა და „ბანკის“ მოქმედი წესდების გათვალისწინებით, „დირექტორთა საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, „ჩვეულებრივი აქციების“ დივიდენდის გადახდის თარიღად დაამტკიცოს 2025 წლის 09 ივლისი;

8. **„ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის, მაგდა მაღრაძის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება „ბანკის“ აქციონერთა კრების მომდევნო სხდომის ჩატარების თარიღამდე;**

მაგდა მაღრაძე „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრად არჩეულ იქნა 2019 წელს. 2024 წელს „ბანკის“ აქციონერთა საერთო კრებამ მხარი დაუჭირა მის ხელახლა არჩევას 6 (ექვსი) თვის ვადით, რომელიც აქციონერთა კრების მოწვევის თარიღისთვის ამოწურულია, თუმცა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულად ითვლება აქციონერთა კრების მომდევნო თარიღამდე. შესაბამისად, იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს „ბანკის“ საქმიანობა და სამეთვალყურეო საბჭომ უზრუნველყოს დაკისრებული მოვალეობების სათანადოდ შესრულება, „დირექტორთა

საბჭო“ რეკომენდაციას აძლევს „საერთო კრებას“, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის პოზიციაზე მაგდა მაღრაძის უფლებამოსილების ვადა გააგრძელოს აქციონერთა კრების მომდევნო სხდომის ჩატარების თარიღამდე.

- **დღის წესრიგის ცვლილება/საკითხ(ებ)ის დამატება**

„ბანკის“ ხმის უფლების მქონე ჩვეულებრივი აქციების სულ მცირე 5%-ის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს „საერთო კრების“ ჩატარების თარიღამდე არანაკლებ 14 (თოთხმეტი) დღით ადრე წერილობით მიმართოს „ბანკს“ და:

- მოითხოვოს „საერთო კრების“ დღის წესრიგში საკითხის დამატება, რა შემთხვევაშიც მოთხოვნას თან უნდა დაურთოს შესაბამისი დასაბუთება, ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;
- წარადგინოს „საერთო კრების“ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

- **საერთო კრების მასალების სრულად გაცნობის ადგილი და პირობები**

საერთო კრების მასალების სრულად გაცნობა შესაძლებელია „ბანკის“ აქციონერის წერილობითი მომართვის შემთხვევაში, „ბანკის“ იურიდიულ მისამართზე.

აქციონერთა რეგისტრაცია დაიწყება 2025 წლის 5 ივნისს 10:30 საათზე და დასრულდება 10:50 საათზე;

„საერთო კრებაში“ მონაწილეობის უფლება შეიძლება გადამოწმებულ იქნას იმ ანგარიშის მწარმოებელთან, რომლის საშუალებითაც აქციონერი ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტების სისტემაში ფლობს ჩვეულებრივ აქციებს.

პატივისცემით,

ფინანსური დირექტორი
ვახტანგ ბაბუნაშვილი
სს „ლიბერთი ბანკი“